სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/21

ქ. თბილისი

17 აპრილი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ფართობის იჯარით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2024 წლის 12 მარტის №0000294503 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 17 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, მრავალფუნქციური ყავისა და სნეკის თვითმომსახურების აპარატის განთავსების მიზნით, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შენობის (მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის N17, სტუ-ს XI სასწავლო კორპუსი, ს/კ: №01.12.09.017.052) 2 (ორი) კვ. მეტრი ფართობის იჯარის უფლებით გაცემის შესახებ, 2 (ორი) წლის ვადით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**